

შპს ქალაქის გული

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4-5
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10-21
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	15
5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
7. განსაკუთრებული ხარჯი	16
8. ძირითადი საშუალებები	17
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
10. ფული და ფულის ექვივალენტები	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
12. პირობითი ვალდებულებები	18
13. საქმიანობის უწყვეტობა	19
14. ნაშთები და ტრანზაქციები გადავშირებულ მხარეებთან	20
15. ფინანსური ინსტრუმენტები	21
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	23

შპს ქალაქის გული

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ქალაქის გულის“ („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 28 სექტემბერს.

მუხრან ბაგრატიონი

დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქალაქის გულის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქალაქის გულის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ საადრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ეშუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფის" სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს ქალაქის გული

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019	2018
შემოსავალი		527	634	516
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5	3	1,772	-
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(3)	1	-
სულ შემოსავლები		527	2,407	516
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(798)	(1,104)	(909)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1)	(2)	(1,494)
განსაკუთრებული ხარჯი	7	(1)	(65)	-
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(273)	1,236	(1,887)
მოგების გადასახადი		-	(1)	(1)
წმინდა (ზარალი)/მოგება		(273)	1,235	(1,888)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:

მუხრან ბაგრატიონი
დირექტორი

შპს ქალაქის გული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	9,061	9,368	9,704
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,061	9,368	9,704
მიმდინარე აქტივები				
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		11	13	-
საგადასახადო აქტივები		38	38	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	177	115	23
მომწოდებლებზე გადახდილი და სხვა ავანსები		1	1	2
ფული და ფულის ექვივალენტები	10	30	36	1
სულ მიმდინარე აქტივები		257	203	26
სულ აქტივები		9,318	9,571	9,730
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	13,281	13,281	14,016
დაგროვილი ზარალი		(4,008)	(3,735)	(4,970)
სულ კაპიტალი		9,273	9,546	9,046
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	14
მიღებული ავანსები		-	-	112
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	45	25	558
სულ მიმდინარე ვალდებულებები		45	25	684
სულ ვალდებულებები		45	25	684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,318	9,571	9,730

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:

მუხრან ბაგრატიონი
დირექტორი

შპს ქალაქის გული

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	14,016	(3,082)	10,934
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,888)	(1,888)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	14,016	(4,970)	9,046
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,235	1,234
კაპიტალის შემცირება	(735)	-	(735)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	13,281	(3,735)	9,546
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(273)	(273)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	13,281	(4,008)	9,273

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:

მუხრან ბაგრატიონი
 დირექტორი

შპს ქალაქის გული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	2020	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	560	603	693
მიღებული სადაზღვეო პრემია	-	1,771	-
მიღებული ავანსები	-	-	10
სხვა შემოსავლები	-	4	3
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(223)	(753)	(251)
საქვანგარიშოდ გაცემული თანხები	-	(1)	(12)
გადახდილი ხელფასები	(175)	(488)	(225)
გადახდილი გადასახადები	(165)	(295)	(175)
სხვა ფულადი ხარჯები	(1)	(67)	(5)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობიდან	(4)	774	38
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(4)	(39)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(4)	(39)
ფულადი ნაკადები სფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შემცირება	-	(735)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	-	(735)	-
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(2)	-	1
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	(6)	35	-
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	36	1	1
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	30	36	1

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელითხელმოწერილი და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:

მუხრან ზაგრაციონი
დირექტორი

შპს ქალაქის გული

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ქალაქის გული“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 10 სექტემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202417884.

ძირითადი საქმიანობა.

შპს „ქალაქის გულის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ცაბაძის ქ. №8.,

კომპანიის მეწილეები: არიე გოლდსტეინი - 5%, შპს კორპორაცია კოლხა - 5.43%, შპს თერგი I - 44.57% , შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მორ ფანდ ჰოლდინგ ბი.ვი, ნიდერლანდები - 45%

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შედგებოდა შესაბამისად 9, 18 და 15 კაცისგან.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2020	01-იან-2020
1 USD/GEL	3.2766	2.8661
1 EUR/GEL	4.0233	3.2143

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება

შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამოზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

შპს ქალაქის გული

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგებულება)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ელექტროგადამცემის საშუალებები	8%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიღებული არასაოპერაციო შემოსავლები სრულად წარმოადგენს სადაზღვეო კომპანია შპს „ჯი პი აი ჰოლდინგისგან“ მიღებულ სადაზღვეო პრემიას.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019	2018
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	307	340	229
შრომის ანაზღაურება	243	352	6
ელექტროენერგიის ხარჯი	86	97	0
დაცვის ხარჯი	59	57	9
საგადასახადო ხარჯები	55	59	91
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	17	3	10
იურიდიული მომსახურების ხარჯები	9	11	3
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	8	14	377
კომუნიკაციის ხარჯები	2	2	69
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	2	2	0
დასუფთავების და დეზინფექციის ხარჯი	1	14	51
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	153	62
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	798	1,104	909

7. განსაკუთრებული ხარჯი

განსაკუთრებული ხაეჯი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდში ხანძრის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ხარჯებს.

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	მიწა	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	3,848	6,062	1	-	102	241	10,254
შემენა	-	-	3	-	-	1	4
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	3,848	6,062	4	-	102	242	10,258
შემენა	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	3,848	6,062	4	-	102	242	10,258
ცვეთა	მიწა	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	-	(252)	-	-	(102)	(196)	(550)
დამატება	-	(303)	(1)	-	-	(36)	(340)
შემცირება	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	(555)	(1)	-	(102)	(232)	(890)
დამატება	-	(304)	(1)	-	-	(2)	(306)
შემცირება	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	(859)	(2)	-	(102)	(234)	(1,197)
საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	3,848	5,810	1	-	-	45	9,704
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	3,848	5,507	3	-	-	10	9,368
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	3,848	5,203	2	-	-	8	9,061

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2020	2019	2018
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	165	103	10
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	12	12	13
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177	115	23

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2020	2019	2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	30	33	-
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	3	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	30	36	-

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეიცავდა შპს კოლხას მიმართ არსებულ მოთხოვნას საწესდებო კაპიტალის შევსებაზე 330,582 დოლარის ოდენობით. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით კაპიტალის ზრდა აღიარდება გამოცხადებული და შევსებული კაპიტალის შესაბამისად. შპს კოლხას მიერ არ მომხდარა კაპიტალის შევსება აღნიშნული თანხით, რის გამოც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კაპიტალისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეიცავს შესაბამის თანხებს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2020	2019	2018
ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	20	21	17
ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	25	4	110
ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	-	-	431
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45	25	558

13. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო

კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშემშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან დაიწყო ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) გავრცელება მთელ მსოფლიოში, რომელიც სწრაფად გავრცელდა, რის შედეგადაც 2020 წლის მარტში მას მიენიჭა პანდემიის სტატუსი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ქვეყნების მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიწვია მრავალი კომპანიების ოპერაციების შეწყვეტა ან ხელის შეშლა და ასევე მიღებულმა ზომებმა დიდი გავლენა იქონია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. გამომდინარე იქედან რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება და იცვლება, ამან შეიძლება

გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე სხვადასხვა სექტორში, რაც შესაძლებელია გამოიხატოს, თუმცა არ შემოიფარგლოს ისეთი გავლენებით როგორებიცაა ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, საქონლის მომწოდებლებისგან შეფერხება, წარმოების შეფერხება ან ობიექტების დახურვა, პერსონალის კარანტინი, პროდუქტებზე შემცირებული მოთხოვნა და დაფინანსების მოპოვების გაზრდილი სირთულეები. ამასთან, კომპანიამ შეიძლება განიცადოს COVID-19-ის უფრო და უფრო ფართო ეფექტები გლობალურ ეკონომიკასა და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი გავლენის შედეგად. COVID-19-ის ეფექტის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მოქმედების ხანგრძლივობასა და სიხშირეზე მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და პანდემიის მომავალი განვითარებისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი გავლენის მოლოდინები ბოლო დღეების განმავლობაში სავალუტო ბაზარზე გაზრდილ მერყეობაშიც აისახა რამაც გამოიწვია სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურება.

15. ნაშთები და ტრანზაქციები გადავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	163	177	102	115
- მფლობელები	163		102	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	45	14	25
- მფლობელები	12		14	
- მთავარი მენეჯმენტი	7		-	
	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

შპს ქალაქის გული

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგებლება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შემოსავლები	527	527	634	634
- მფლობელები	527		634	
ხარჯები	86	798	97	1,104
- მფლობელები	86		97	

31 დეკემბერი 208

	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	23
- სხვა დაკავშირებული მხარეები	9	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	531	558
- მფლობელები	431	
- მთავარი მენეჯმენტი	100	

31 დეკემბერი 2018

	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
შემოსავლები	516	516
- მფლობელები	516	
ხარჯები	91	909
- მფლობელები	91	

2020, 2019 და 2018 საანგარიშგებო წლების განმავლობაში ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა შესაბამისად 215 და 315 და 190 ათასი ლარი.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

შპს ქალაქის გული

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგებლება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური ინსტრუმენტები	2020	2019	2018
სულ სესხები	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	(30)	(36)	-
წმინდა სესხები	-	-	-
სულ კაპიტალი	9,273	9,546	9,046
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	-	-	-

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2020 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 2020
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	30	-	30
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	177	-	177
სულ ფინანსური აქტივები	207	-	207
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45	-	45
სულ ფინანსური ვალდებულებები	45	-	45
ლიკვიდობის დეფიციტი	162	-	162
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	162	162	

2019 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 2019
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	36	-	36
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	115	-	115
სულ ფინანსური აქტივები	151	-	151
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25	-	25
სულ ფინანსური ვალდებულებები	25	-	25
ლიკვიდობის დეფიციტი	126	-	126
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	126	126	

შპს ქალაქის გული

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგებლება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

2018 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 2018
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	36
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23	-	23
სულ ფინანსური აქტივები	23	-	23
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	558	-	558
სულ ფინანსური ვალდებულებები	558	-	558
ლიკვიდობის დეფიციტი	535	-	535
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	535	535	

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშგებო წლის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში


ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სადრიცხო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმვლ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ეშუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფის" სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი



2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს ქალაქის გული

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019	2018
შემოსავალი		527	634	516
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5	3	1,772	-
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(3)	1	-
სულ შემოსავლები		527	2,407	516
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(798)	(1,104)	(909)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1)	(2)	(1,494)
განსაკუთრებული ხარჯი	7	(1)	(65)	-
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(273)	1,236	(1,887)
მოგების გადასახადი		-	(1)	(1)
წმინდა (ზარალი)/მოგება		(273)	1,235	(1,888)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:




მუხრან ბაგრატიონი
დირექტორი

შპს ქალაქის გული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	9,061	9,368	9,704
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,061	9,368	9,704
მიმდინარე აქტივები				
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		11	13	-
საგადასახადო აქტივები		38	38	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	177	115	23
მომწოდებლებზე გადახდილი და სხვა ავანსები		1	1	2
ფული და ფულის ექვივალენტები	10	30	36	1
სულ მიმდინარე აქტივები		257	203	26
სულ აქტივები		9,318	9,571	9,730
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	13,281	13,281	14,016
დაგროვილი ზარალი		(4,008)	(3,735)	(4,970)
სულ კაპიტალი		9,273	9,546	9,046
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	14
მიღებული ავანსები		-	-	112
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	45	25	558
სულ მიმდინარე ვალდებულებები		45	25	684
სულ ვალდებულებები		45	25	684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,318	9,571	9,730

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:



მუხრან ბაგრატიონი
დირექტორი

შპს ქალაქის გული

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	14,016	(3,082)	10,934
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,888)	(1,888)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	14,016	(4,970)	9,046
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,235	1,234
კაპიტალის შემცირება	(735)	-	(735)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	13,281	(3,735)	9,546
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(273)	(273)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	13,281	(4,008)	9,273

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:



მუხრან ბაგრატიონი
 დირექტორი


შპს ქალაქის გული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	2020	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	560	603	693
მიღებული სადაზღვეო პრემია	-	1,771	-
მიღებული ავანსები	-	-	10
სხვა შემოსავლები	-	4	3
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(223)	(753)	(251)
საქვანგარიშოდ გაცემული თანხები	-	(1)	(12)
გადახდილი ხელფასები	(175)	(488)	(225)
გადახდილი გადასახადები	(165)	(295)	(175)
სხვა ფულადი ხარჯები	(1)	(67)	(5)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობიდან	(4)	774	38
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(4)	(39)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(4)	(39)
ფულადი ნაკადები სფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შემცირება	-	(735)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	-	(735)	-
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(2)	-	1
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	(6)	35	-
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	36	1	1
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	30	36	1

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 28 სექტემბერს:



მუხრან ბაგრატიონი
დირექტორი